გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N234

2022 წლის 09 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 27 ოქტომბერს (N19/202230086-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა სწრაფი ჩარიცხვის თვითმომსახურების ტერმინალების განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 14 ნოემბრის N 409-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.31.531 დაზუსტებული ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ძმები რომელაშვილების ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 800.00 (რვაასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 14 ნოემბრის N 407-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.263 დაზუსტებული ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ქუთაისის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1000.00 (ათასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 14 ნოემბრის N 408-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.25.684 დაზუსტებული ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, რუსთაველის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 800.00 (რვაასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.31.531 უძრავი ქონება, ფართობი 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქუჩის მიმდებარედ (ტროტუარი)); ს/კ 66.45.18.263 უძრავი ქონება, ფართობი 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ქუთაისის ქუჩის მიმდებარედ) და ს/კ 66.45.25.684 უძრავი ქონება, ფართობი 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, რუსთაველის ქუჩა), თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით, გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.31.531) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 800.00 (რვაასი) ლარით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.18.263) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 1000.00 (ათასი) ლარით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.25.684) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 800.00 (რვაასი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა თითოეულ მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს 240 (ორას ორმოცი) ლარით (ჯამში 720 ლარი).

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაცემული იქნეს თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით.

6.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

GEORGIA GORI MUNICIPALITY ASSEMBLY * 218086087 *